


ახალი
# განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2023 წელი 28 თებერვალი № 2 (8189) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com




„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

## სააქციო საზოგადოება „კასპიელექტროაპარატი„ — 65!

გვ3.

## სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზა მოეწყობა

გვ2.

## კასპში წერეთლის ქუჩაზე

გვ2.

## ხეთაგუროვის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია

გვ2.

## მილოცვა ჩემპიონს

გვ2.




## ორი წლის გასაყარზე

გვ4.




## ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო წარადგინა ავტორმა



გვ5.

## გივი გეგეჭკორის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა

გვ5.

ბებიების და პაპების კონკურსი ტელეკომპანია „იმედში„

გვ4.

## „სალამური, ლერწმის ლერი!"

კავთურისხეობელი მესალამურე მისნების ძველი და ახალი ამბები



გვ7.



## „თოვლქვეშ ყოველთვის იმედის გაზაფხულია„

**ოფიციალური ქრონიკა**

# „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა„

კასპის მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულების თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ კასპის მუნიციპალიტეტზე 950 000 ლარია გამოყოფილი. თანხა გადანაწილებულია მუნიციპალიტეტის 73 სოფელზე. 27 იანვრიდან სოფლებში მიმდინარეობს შეხვედრები, სადაც ხმათა უმრავლესობით ხდება მცირე ბიუჯეტიანი პროექტების შერჩევა და გადაწყვეტილების მიღება გამოყოფილი თანხების ფარგლებში.



თანხა 10 ათასიდან 20 ათასი ლარის ფარგლებშია გამოყოფილი თითო სოფელზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.



შეხვედრებზე მოსახლეობა ძირითადად ითხოვს: უბნებში გარეგანათების, სანიაღვრე არხების და ბავშვთა გასართობი მცირე სივრცეების მოწყობას, სარწყავი რუების გაწმენდას, საუბნო გზების მოხრეშვას, სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მოწყობას, სასაფლაოების შემოღობვას და ა.შ.



შეხვედრების შემდეგ შეჯამდება პრობლემები, განხილული და დამტკიცებული იქნება საკრებულოს სხდომაზე, პარალელურად მომზადდება პროექტების ხარჯთაღრიცხვები და შესაბამისად დაიწყება სამუშაოებიც, რომლებიც წლის განმავლობაში დასრულდება.



## კასპში წერეთლის ქუჩაზე

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად გრძელდება. ამჯერად ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს “დინგრუპს” შორის გაფორმდა, რომელიც კასპში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია/მოასფალტებას ითვალისწინებს.

სამუშაოები 1 500 გრძივ მეტრზე განხორციელდება. პროექტის ღირებულება 840 008 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ ფინანსდება.

2021 წელს წერეთლის ქუჩა ნაწილობრივ მოასფალტდა, რადგან მიწისქვეშა კომუნიკაციები მოსაწესრიგებელი იყო.

2022 წელს კომუნიკაციების სრულად მოწესრიგების შემდეგ შესაძლებელი გახდა ქუჩის სრული რეაბილიტაციის დაწყება.

ჩატარებული სამუშაოები უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ტრანსპორტის კომფორტულ გადაადგილებას, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.



## ხეთაგუროვის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია

ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს “ქვენიფლენი” შეასრულებს, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიაა.

ე.წ. “ქარწისის დასახლებაში” მდებარე ქუჩის სიგრძე 1480 გრძივი მეტრია, პროექტის ღირებულება 534 999 ლარი, ხოლო სამუშაოების დაფინანსების წყარო რეგიონალური განვითარების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი.



ხეთაგუროვის ქუჩის ძირითადი მისასვლელი აღმართი, მოუწყობელი და გადაადგილებისას მუდმივად პრობლემური იყო, 2021 წელს მოვაწყეთ. პარალელურად კი მომზადდა ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტი.

დასრულებული პროექტი მოსახლეობის კეთილმოწყობილი ქუჩით გადაადგილებას შეუწყობს ხელს, - განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

## სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზა მოეწყობა



კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ქვენიფლენი” გზის მოსამზადებელ სამუშაოებს მალე დაიწყებს.

სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის სიგრძე 1 243 გრძივი მეტრია, ღირებულება 594 999 ლარი. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა გასულ წელს მოამზადა.

აღდგენილი გზით სოფელი დაუკავშირდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო ჩქაროსნულ მაგისტრალს. გზის სამუშაოების საგარანტიო ვადა 3 წელია, გზის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი კი მუნიციპალიტეტი იქნება.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობას “სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან” დაკავშირებით მიმდინარე შეხვედრაზე პირადად გააცნო.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

## მილოცვა ჩემპიონს



ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ღია პირველობაზე ძიუდოში, კასპელმა ირაკლი დემეტრაშვილმა (+100 კგ.) ოქროს მედალი მოიპოვა.

ირაკლი სოფელ თელიანის მკვიდრია, მან ვარჯიში სოფელ მეტეხში ნუგზარ მამულაშვილთან დაიწყო, რომელსაც მის წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ვულოცავთ 20 წლის ირაკლის და ნუგზარ მამულაშვილს დაუღალავი შრომის ფასად მოპოვებულ ღირსეულ გამარჯვებას და სამომავლოდ წარმატებულ სპორტულ კარიერას ვუსურვებთ.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართული ევროპის ღია პირველობა 3 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლით დაასრულა და ვაჟთა შორის გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.

## 99 წლის იუბილე

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გარიყულაში მცხოვრებ შალვა გოჩიტაშვილს კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში, თადარიგის პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა 99 წლის იუბილე მიულოცეს.



შალვა გოჩიტაშვილი მეორე მსოფლიო ომის ერთადერთი ვეტერანია კასპის მუნიციპალიტეტში. იგი ომში 17 წლის წავიდა და ომის დასრულებამდე უკრაინის ფრონტზე იბრძოდა.

ომის ვეტერანმა გაიხსენა ბრძოლის ეპიზოდები, თანამებრძოლები და აღნიშნა, რომ ის მთავრობისგან და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ყურადღებას ყოველთვის გრძნობს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ბატონ შალვას დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

## სააქციო საზოგადოება ,,კასპიელექტროაპარატი,, — 65!

საქართველოში 1958 წლიდან დაიწყო ელექტროტექნიკური და მანქანათმშენებლობის დარგის გეგმიური განვითარება. სახელმწიფოებრივი მიდგომის ფართო პროგრამიდან გამომდინარე, გადაწყდა და კასპში, რომელსაც ის-ის იყო, მიენიჭა რესპუბლიკური (რაიონული) დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი, აშენდა ელექტროაპარატურის ნაკეთობათა გამოშვებაზე ორიენტირებული ქარხანა. კასპის დასავლეთით, შემო(გა)სასვლელ კარიბჭესთან მან დაიკავა სასოფლო მანქანა-ტრაქტორთა სარემონტო სადგურის ფართი (ის მოგვიანებით სოფელ სამთავისში გადაიტანეს) და თანდათან აღიმართა საწარმოო კორპუსები, მერე კი გიგანტად გადაიქცა, თითქმის 11 ჰექტარზე გადაიშალა.



1958 წლის ოქტომბერში ქარხანაში მიიღეს მუშა-მოსამსახურეთა პირველი ნაკადი, მოიზიდეს ინჟინერ-ტექნიკური პროფილის კადრი. მანამდე კასპი თუ მეცემენტეთა ქალაქად ითვლებოდა, იმიერიდან გამოჩნდნენ ახალსპეციალობის წარმომადგენლები — “ელექტროაპარატმშენებლები”, “ელექტრომეაპარატეები”...

დასასრული გვ3.

# სააქციო საზოგადოება ,,კასპიელექტროაპარატი,, — 65!



(დასასრული).

ახალბედა მუშათა 20-კაციანი ჯგუფი საკონკურსო წესით შეირჩა და სამივლინებო-სასწავლო მიზნით ქ. მოსკოვში გაიგზავნა. 6 თვეში კასპში კვალიფიციურ სპეციალისტებად დაბრუნდნენ და წარმოების წამყვანი უბნების, ძირითადი საამქროების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნენ. ასე, თანდათანობით, შრომითი კოლექტივი მყარად დადგა ფეხზე და გაფართოვდა. საკმარისია ითქვას, რომ 1976 წლიდან 1990 წლამდე მთლიანი წარმოების შიდა მოცულობა თითქმის 40 პროცენტით გაიზარდა, ქარხანაში მომუშავეთა რაოდენობა კი 800-დან — 1200-მდე. კასპელ ელექტრომეაპარატეთა კოლექტივი ასრულებდა 15 ათასამდე ორგანიზაციის დაკვეთას და “კასპიელექტროაპარატის” დამღით დამზადებულ პროდუქციას მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში გზავნიდა (გავიხსენოთ მხოლოდ რამდენიმე საბჭოური სივრციდან — ყაზახეთში “ბაიკონურის” პოლიგონი, რუსეთში კოსმოსური ფრენის ცენტრი, ევროპა-ციმბირის გაზსადენის მშენებლობა, მოსკოვის ოლიმპიური ობიექტები...).

საკუთრივ კასპის მასშტაბით არ იყო საქალაქო და სასოფლო ცხოვრებისეული დარგი და სფერო, სადაც “კასპიელექტროაპარატი” მონაწილისა და წვლილის შემტანის ყველაზე მაღალ ნიშნულზე არ გადიოდა: იყო ეს ბინათმშენებლობა (ახალნაგები ბინა გადაეცა 360-ზე მეტ მუშა-მოსამსახურეს) თუ მატერიალურ-სოციალური და პრემიალური სტიმულირება-წახალისება; კასპის წყალსადენის მშენებლობასა თუ ქალაქის იერსახის მოწესრიგებაში ჩართულობა, საკუთარი დამხმარე მეურნეობის შექმნა და სასპორტო ბაზების (ფეხბურთის მოედნის, კრივის დარბაზის, საცურაო აუზის) მოწყობა, საკუთარი სარკინიგზო ჩიხი თუ დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი თემმის ხეობაში (რკონში)...

ქარხნის პირველი დირექტორი გახდა სერგო სოლოღაშვილი, შემდგომ თავკაცობდნენ ქართული ელექტროინჟინერიის კვალიფიციური სპეციალისტები — ოთარ კოვზირიძე, გურამ გზირიშვილი, არჩილ გიორგაძე და, რა თქმა უნდა, უშანგი მოსიაშვილი! აწ დვაწლმოსილი ელექტრომეაპარატე პირველმკვალავთა რიგებიდან, ვინც სკოლის დამთავრებისთანავე ელექტრომემონტაჟედ “მოინათლა” ცემენტის ქარხანაში, 1958 წლიდან კი ცხოვრებისეულმა ბედმა-ყისმათმა დააკავშირა ქარხანასთან, სადაც გაიარა ყველა სამსახურებრივი საფეხური: 1959 — საამწყობო საამქროს თერმისტი, 1966 — საიარაღო საამქროს უფროსი, შემდეგ — სამექანიკო საამქროს უფროსი, 1976 — ქარხნის მთავარი ინჟინერი, 1978-დან — დირექტორი... ის გახლავთ საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, გამომგონებელი, რაციონალიზატორი, ამასთან ერთად — გულქართლი კასპელი, წარმატებული ბიზნესმენი, უშურველი ქველმოქმედი და მეოხი, მოგონებებისა და ლირიული წიგნების ავტორი, ფერმწერი, მრავალმხრივი შემოქმედი, ეკლესიამშენებელი.



***

სააქციო საზოგადოება “კასპიელექტროაპარატს” ამჟამად თავკაცობს უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინერ-მექანიკოსი კობა მოსიაშვილი. მან შრომითი ნათლობა 1986 წელს მიიღო თბილისის საწარმოო გაერთიანება “ელექტროაპარატში” საამწყობო საამქროში, სადაც ოსტატობიდან უფროსობამდე დაწინაურდა და ჩამოყალიბდა ელექტროსისტემის კვალიფიციურ სპეციალისტად.

მას მხარში უდგანან თანამოაზრე საქმიანი გუნდის მეგობრები: იოსებ წიკლაური — დირექტორი წარმოების დარგში, ზაქარია აბუაშვილი — დირექტორი ტექნიკურ დარგში, დავით მოსიაშვილი — დირექტორი კომერციულ სფეროში, უშანგი მოსიაშვილი (უმცროსი)- დირექტორი მომარაგება-გასაღების დარგში, ნინო გოგიაშვილი — კადრების განყოფილების უფროსი.

სააქციო საზოგადოების მარკით სადღეისოდ მზადდება ელექტროპროდუქციის რამდენიმე სახეობა: მაღალი და დაბალი ძაბვის მოწყობილობები, როგორიცაა ელექტროკარადები, დენმკვეთები, საქალაქო და სასოფლო ტიპის ქვესადგურები.

მისი უპირველესი მომხმარებლები არიან ცნობილი კომპანიები: ს.ს.“თელასი”, “ენერგოპრო”, ასევე, უამრავი სამშენებლო ორგანიზაცია საქართველოს მასშტაბით. კასპური ელექტრომოწყობილობებით აღჭურვილია საკურორტო სასტუმროების ბიზნესქსელი აჭარაში და სასპორტო-საცურაო აუზი “ოლიმპიკი” თბილისში. აგერ, 2023 წლის თებერვალ-მარტში სამთო კურორტ ბაკურიანში პირველად ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი ზამთრის სპორტის სამ სახეობაში და იქაც კასპური ელექტროქვესადგურებია გამოყენებული.

ამიერკავკასიის ფარგლებში ესაა მსგავსი პროფილის ერთადერთი საწარმო. აქ ამჟამად დასაქმებულია 75 მუშა-მოსამსახურე. თითოეული მათგანი თავისი საქმის ნაცადი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. ესაა ის კადრი, ვინც საკუთარი გარჯით, პროფესიული ულალატობით დღემდე მოიტანა მშობლიური ქარხნის ისტორიაცა და პრესტიჟიც, დღევანდელობაცა და საერთო პოტენციალიც... ამიტომაა, რომ მათ შრომითი კოლექტივი მეორე ოჯახად მიაჩნიათ და ემვირფასებათ. სულ კი სააქციო საზოგადოება სადღეისოდ 442 აქციონერს აერთიანებს.

აგერ, ისინი, კასპელი ელექტროაპარატმშენებლები, ვინც საწარმოს არსებობის 65-ე წლისთავზე აქციზირებული საზოგადოების სახელით ქმნიან საქვეყნო დოვლათს და გააჩნიათ მყარი, სტაბილური საოჯახო მატერიალური შემოსავალი:

საამწყობო საამქრო: ზაირა გაბიევა — წარმოების უფროსი (გააჩნია 15-წლიანი შრომითი სტაჟი). ნათელა კოპალიანი — მემონტაჟე (წელს უსრულდება მუშაობის 40 წელი). ნუნუ კოტიაშვილი — საწარმოშია 1982 წლიდან, სრულყოფილად ფლობს ყველა სპეციალობას. ნანი ჩიმჩიური და მზია მიქელაძე — მემონტაჟეების 5–5-წლიანი გამოცდილებით. ამწყობი ზეინკალი ვანო ელისაბედაშვილი კასპის პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულია და საწარმოშია 2001 წლიდან. ვეტერანი ამწყობი ზეინკლის გივი შეშაბერიძის სტაჟი კი 56 წელს მოითვლის, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გახდა ელექტრომეაპარატე და დღემდე აქაა;

საიარაღო საამქრო: ხარატები — გოგიტა თათრიშვილი, ჯუმბერ მამულაშვილი, ჯემალ და ალექსანდრე ჯოღერდიშვილები, დავით გამხიტაშვილი (საწარმოშია 1976 წლიდან);

მექანიკური საამქრო: ლითონკონსტრუქციების დამამზადებელ ზეინკალს ივანე ილურიძეს მალე 20 წელი შეუსრულდება, რაც საწარმოშია. ის ოჯახური შრომითი ტრადიციის გამგრძელებელია. მისმა მამამ, გურამ ილურიძემ, საწარმოს დაარსებიდან შემდეგებლად იმუშავა ამავე საამქროში, თანაც პენსიაზე გასვლამდე (თითქმის სიცოცხლის ბოლომდე). შემდუღებელ გელა გურასპაშვილს 20-წლიან სტაჟზე მეტი აქვს. ელექტროშემდუღებელი ამირან ბერიანიძე ყოფილი მეცემენტეა, რომელიც იქ პენსიაზე გასვლის შემდეგ დასაქმდა “ელექტროაპარატში”.

მათი მაგალითი, თითოეულისა ცალ-ცალკე და ყველასი ერთად, დასტურია იმისა, რომ მუშაკაცის გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის ყადრი კარგად ფასობდა და ფასობს დღესაც, მისი დალოცვილი მარჯვენაა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საყრდენი.

ა. კალანდაძე.





# ორი წლის გასაყარზე

2023 წლის 13 იანვარს მერიის შენობის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მუშაკები. სხდომას ესწრებოდნენ აპარატის თანამშრომლები და 28-ვე საბავშვო ბაღის გამგე.

შეხვედრის მიზანი იყო გასული წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის საერთო ანგარიშის მოსმენა და 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა. საქმიან ვითარებაში წარმართული დისპუტისას დიდი ყურადღება დაეთმო ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: სააღმზრდელო პროცესი, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ბავშვთა კვება, თანამშრომელთა დასწრება და ა. შ.

გასული წლის სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში ჩვენს საბავშვო ბაღებში ჩატარებული აქტივობების საფუძველზე გამოვლინდა ის საბავშვო ბაღები, სადაც წარმატებით მიმდინარეობს სასკოლო მზაობის პროგრამა. ესაა ქ. კასპის ხუთივე საბავშვო დაწესებულება (ბაღების გამგეები — მზია ჭალიაშვილი, თამუნა ხოკრიშვილი, თეა ქუტაშვილი, დალი კოტეტიშვილი და ლალი მილაძე). გვსურს, განსაკუთრებით გამოვყოთ სოფ. აღაიანის საბავშვო ბაღი (გამგე ეკა დვალიშვილი); ასევე, კავთისხევის, მეტეხის, თეზის, ოკამის, სასირეთის, ახალქალაქის პირველი და მეორე, ფერმის ბაღები (გამგეები — ნელი გზირიშვილი, ნინო პატარქალაშვილი, მაია ჩიტაშვილი, ნათია ჩიტაშვილი, ქეთინო ჭალიაშვილი, ქეთინო აბუაშვილი, ნათია ჭალიაშვილი და ლორენა ჩიტაშვილი)... ასეთ დროს, ცხადია, ცალკეული შენიშვნები გამოითქვა ზოგიერთი ბაღის მიმართ.

2022 წლის განმავლობაში ქალაქის ხუთივე საბავშვო ბაღში დამონტაჟდა გასართობი ატრაქციონები, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა არა მარტო ბავშვებში, არამედ მშობლებშიც. მათი შეძენა და დამონტაჟება გაგრძელდება სოფლებშიც, ახლა ამ ბაღების ჯერია.

გასული წლის უმთავრესი სიახლე კი საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებას უკავშირდება: კერძოდ, აშენდა და ფუნქციონირებს ბაღები სოფლებში — იგოეთში, რენეში, გრაკალში, სადგურ მეტეხში... სულ ცოტა ხანში საზეიმოდ გავხსნით კიდევ ერთს — ზემო ხანდაკში. მიზანი ერთია: ქალაქადა თუ სოფლად მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ყველა მოზარდისათვის ხელმისაწვდომი იყოს მათთვის განკუთვნილი სივრცის სიკეთით სარგებლობა.

ჩვენს მუშაკებს კარგად ესმით, რომ პატარებს ესაჭიროებათ უსაფრთხო, მზრუნველი და, ზოგადად, განმავითარებელი გარემო, მათ საჭიროებებზე გათვლილი და მორგებული ფიზიკური სიტუაცია. ამასთან დაკავშირებით ერთ კონკრეტულ ფაქტს მოვიტანთ: 2022 წლის პირველ ივნისს, ბავშვთა დღესთან დაკავშირებით, ქალაქის სასპორტო ყველაზე დიდ დარბაზში ჩატარდა "მხიარული სტარტები". მისასალმებელია, რომ ფართო მასშტაბის აქტივობაში კასპის ხუთივე ბაღის ყველა აღსაზრდელი მონაწილეობდა.

გაერთიანების საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვების საკითხი შეუნელებელი ყურადღებით არის მოსილი. ადგილებზე საკვები პროდუქტი მხოლოდ მაღალი ხარისხისა შედის, მიღება-ჩაბარებას სისტემატურად აკონტროლებენ თვითონ ბაღის გამგე და რიგითი თანამშრომელი, პერიოდულად — აპარატის თანამშრომელი და სურსათის ეროვნული სააგენტოს სამსახურის წარმომადგენელი. სადღეისოდ თითოეული აღსაზრდელის ე. წ. "კვების პაკეტი" განისაზღვრება 30-ლარიანი შემცველობით.



კასპის მერიის საკონფერენციო დარბაზში შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გამგეებთან.



საანგარიშო სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო და საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა ე. წ. "ჰასპის" სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით ჩატარებული გეპ—ანალიზით გამოვლენილი ხარვეზები და შეუსაბამობები, რომელიც მკაცრად დადგენილ ვადაში, 2023 წლის 31 მარტამდე, უნდა შესრულდეს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გაგაცნობთ ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექციის გამოცდილ და კვალიფიციურ თანამშრომლებს: მთავარი სპეციალისტები — მანანა მერებაშვილი და მაია მაზმიშვილი, სპეციალისტები — ნია ჯუხარიძე, მაია ბარნოვი, ია ლეონიძე, მაკა კაიშაური, ნათია მოსიაშვილი, თეა მერებაშვილი, ეკა რაზმაძე. იმავე დროს, ყველას მადლობას ვუხდით პირნათლად გაწეული სამუშაოს შესრულებისათვის.

ეს ჩვენი გუნდია, რომელიც მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

**მანანა ხვთისიაშვილი, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი.**

## კულტურული ცხოვრების დღიურები

# ბებიების და პაპების კონკურსი ტელეკომპანია „იმედში"

ბებიების და პაპების კონკურსის იდეა ტელეკომპანია "იმედში" 2023 წლის 18 იანვარს შემოგვთავაზეს. ამ შეხვედრას თვეზე მეტხანს ელოდა ჩვენი ქალაქი.



ვიცოდით, რომ მოსმენისას შიდა ქართლიდან აირჩიეს იზაბელა კობიაშვილი და თენგიზ აბდუშელიშვილი.

ჩვენებური კონკურსანტებისათვის სცენა არ გახლავთ შეუჩვეველი, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით, წარმოსადეგ ასაკში, კიდევ ერთხელ საჯარო გამოსვლა გარკვეულ ვნებათაღელვას გულისხმობდა.

სიმართლის წილ უნდა აღინიშნოს, 18 იანვარს ჩვენი ქალაქი ამ გადაცემის მოლოდინით ცხოვრობდა.

საღამოს მსვლელობას ვუყურეთ და ჩვენი შეფასება გვაქვს. ქვესათქმელს, იმედია, მიგვიხვდება, ჩვენო მკითხველო...

იზაბელა კობიაშვილის გამოსვლა, რა თქმა უნდა, მოგვეწონა, შეფასებას მეტსაც მოველოდით... მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ გულით გაგვხარებოდა ჩვენებური ბებოსა და პაპის სატელევიზიო გამოსვლა.

იქნებ ჩვენებურმა კონკურსანტებმა ითაონ და გამართონ აქაური ბებო-პაპების კონკურსი.

უფრო ახლოს რომ გავიცნოთ ჩვენი ცხოვრების ყველაზე თბილი ადამიანების შემოქმედება.



მანამდე კი გულითადად, კიდევ ერთხელ გილოცავთ საინტერესო გამოსვლას!

ჩვენ მოგვეწონა და ველოდებით თქვენს ახალ წარმატებებს!

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მკითხველი!

# გივი გეგეჭკორის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა

27 იანვარს, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა პოეტ გივი გეგეჭკორის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა ,,უბრალოებით ფასდება კაცი, სხვა კულტურაა სისადავეში".

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

პოეტ გივი გეგეჭკორის დაბადების 90-ე წელს მიეძღვნა აღნიშნული შეხვედრა.

ღონისძიებას წარუძღვა მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი.

დამსწრე საზოგადოებას პოეტის ბიოგრაფია და შემოქმედება გააცნო მუზეუმის განყოფილების გამგემ ნანა მერებაშვილმა.

გივი გეგეჭკორის შემოქმედებიდან ლექსები და ამონარიდები წიგნიდან ,,სიკეთის ტოტი," წაიკითხეს კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა ხათუნა ბახუაშვილმა, მუზეუმის სამხატვრო გალერეის სპეციალისტმა, მხატვარმა კახა მამულაშვილმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებმა (ნანა ილურიძე, მარიამ კახიშვილი, ბარბარე ჩარაევი, მარიამ ყაზარაშვილი, ნინი და შანშე ჩიტიშვილები, უჩა გოგოლაძე, საბა წინამძღვრიშვილი, გიორგი ხუციშვილი, ლაშა ქორთიაშვილი).

საინტერესო იყო პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ვიდეოკოლაჟი, რომელიც მოამზადა მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა.

მუზეუმის დირექტორმა თანამშრომელთა სახელით მადლობა გადაუხადა კასპის ისტორიის მკვლევარ ვანო ჯახუას, რომელმაც ღონისძიების გასამდიდრებლად გამოაგზავნა ვიდეომასალა 1992 წელს ლამისყანაში ,,გურამიშვილობის" ჩატარების შესახებ.

გივი გეგეჭკორზე მოგონებებით გამოვიდნენ: პოეტის ახლო ნათესავი, ექიმი ია ქამხაძე, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, სამხატვრო გალერეის გამგე იორამ იმედაშვილი.

აზრი გამოთქვეს: ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა, მე-4 სკოლის პედაგოგმა გულო გიგაურმა, მოსწავლეთა სახლის შემოქმედებითი წრის პედაგოგმა მანანა ყაბანაშვილმა.







დასასრულს, კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მოსწავლეებს, რომელთაც სამახსოვრო სიგელები გადასცა.





# ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო წარადგინა ავტორმა

კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) ორგანიზებით მ/წლის 10 თებერვალს კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია - ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო წარადგინა ავტორმა ნინო ქარაბაკმა.

პრეზენტაცია მოამზადა და მიჰყავდა ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტს ლია მენაბდიშვილს.

ნინო ქარაბაკი ინგლისური ენის სპეციალისტია – პედაგოგი, მთარგმნელი, ლექსიკოლოგი და, აგერ, უკვე სახელმძღვანელოს ავტორიც!

მან ორიგინალში ათასობით ეგზემპლარი წიგნი წაიკითხა, რის დროსაც ოქსფორდის ლექსიკონიდან ამოწერილი უცხოური სიტყვებით, ლექსიკური ფრაზებით, იდიომებითა და ფრაზალური ზმნებით შეავსო 100 (ასი!) 100-ფურცლიანი რვეული. მათში საკუთარი ხელით ჩაწერილი სიტყვების რაოდენობა 5 მილიონამდეა, თანაც, ყველა დაათარიღებულია.



ესოდენ წარმოუდგენელ გარჯილობას 10 წელი შეახარჯა აქ – ჩვენთან, კასპში, კოსტავას ქუჩის ერთ-ერთი 60-ბინიანი სახლის მე-2 სართულზე მოწყობილ "ცოდნის ბუდეში", რომელსაც თვითონ, სასკოლო-სასწავლო ანალოგიის გავლენით, უწოდებს "ჩემი საკლასო ოთახი".

ნინო ქარაბაკი 2011 წელს გახდა ბრიტანეთის საკონსულოსთან არსებული საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) წევრი. მისმა წევრობამ არა მარტო დიდი სტიმული მისცა, არამედ საკუთარი თავიც ახლებურად დაანახვა. მისთვის ყველაზე მიმზიდველი კი ETAG-ის ბიბლიოთეკა აღმოჩნდა.

2021 წელს გამოქვეყნდა ნინო ქარაბაკის სახელმძღვანელო "მოკლე კურსი ინგლისური ენის გრამატიკისადმი ლოგიკურ-ანალიტიკური მიდგომის ჩამოყალიბებაში და მისი მნიშვნელობა ენის შესწავლისათვის".




წიგნი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა. მართალია, თავდაპირველად, 10 წლის წინ დაიწერა ინგლისურ-ქართულად, მაგრამ ავტორმა შემდეგ შეცვალა, რადგანაც, მისი აზრით, იგი გამოადგება არა მარტო ქართველ, არამედ ბევრი სხვა ეროვნების სტუდენტ-ახალგაზრდობასა და ნებისმიერ მსურველს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.



სახელმძღვანელოს გარშემო აზრი გამოთქვეს: ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორის მოადგილემ თეონა ბეინაშვილმა; კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ; გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორმა ნანა მერებაშვილმა; ამავე გაზეთის კორესპონდენტმა ამირან ტალახაძემ; კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა იზაბელა კობიაშვილმა; კასპის №4 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ელენე ნიპარიშვილმა; ამავე სკოლის მოსწავლეებმა; მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა ხათუნა ბახუაშვილმა; საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერმა მაია აბუაშვილმა;



კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა.

პრეზენტაციის ტექნიკური მხარე უზრუნველყვეს: ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა ნიკოლოზ ლაფერაშვილმა და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა.

წიგნის ავტორმა გულითადი მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს. მანვე, მოგვიანენით, სამადლობელი გამოაქვეყნა სოციალური ქსელის მეშვეობით.

# მემორიალური და სახელობითი ტურნირები



**ვალერიან ალაპიშვილის ხსოვნისა (ჭადრაკი):**

წლევანდელი თებერვლის პირველ შაბათდღეს სპორტკომპლექსის დარბაზის პარკეტიან იატაკზე, ნაცვლად საჭიდაო ტატამისა ან ლეიბისა, გაეწყო საჭადრაკო დაფებიანი მაგიდები. შეჯიბრება, რომლის მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავი იყო, მიეძღვნა კასპელი ერუდირებული პიროვნების, ჭადრაკისა და შაშის დიდი მოყვარულის, რაიონის პირველობათა არაერთგზის გამარჯვებულისა და პრიზიორის ვალერიან (ვალიკო) ალაპიშვილის (06. 02. 1955 – 28. 08. 2018) დაბადებიდან 68-ე წლისთავს.

გაგაცნობთ შეჯიბრების გამარჯვებულისა და პრიზიორების ვინაობას:

ჩემპიონი — ნიკოლოზ ჯანგიშერაშვილი (6 ქულა 7 შესაძლებლიდან), მეორე ადგილი — მამუკა ზაქარაშვილი (5,5), მესამე — ანდრია ზაქარაშვილი (5 ქულა).

კიდევ ხუთმა მოთამაშემ ადგილები შემდეგნაირად გადაინაწილა: 4 — ვატო ალაპიშვილი (4,5 ქულა), 5 — ნუგზარ მენაბდიშვილი (4), 6 — ვალერი უზნაძე (4), 7 — რამაზ გიგილაშვილი (3,5), 8 — ზაზა გორგაძე (3,5 ქულა). კიდევ სამმა მონაწილემ დააგროვა 3-3 ქულა, ორმა — 2-2. უქულოდ არც ბოლო ადგილზე გასული მოთამაშე დარჩენილა.

მემორიალის ადრესატის ვაჟიშვილმა, რომელსაც მეოთხე შედეგი აღმოაჩნდა, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს, ასევე, მონაწილეებს, ხოლო ჩემპიონ-პრიზიორებს პირადად დაწესებული სპეციალური პრიზები გადასცა.

**ვახტანგ მუმლაურის ხსოვნისა (თავისუფალი ჭიდაობა):**

2023 წლის 28 იანვარს ქ. კასპში ჩატარდა ვეტერანი მოჭიდავის ვახტანგ მუმლაურის (28. 01. 1951 – 10. 10. 2021) ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური პირველი ტურნირი (მოსწავლეთა შორის). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნორჩი სპორტსმენები თბილისის, გორის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, ყაზბეგის საჭიდაო სკოლებიდანა და დარბაზებიდან. საერთო მოლოდინისამებრ, ყველაზე უკეთ გორელი ყმაწვილები გამოვიდნენ. ადგილობრივი გუნდის წევრებიდან საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ნიკა ავლოხაშვილი (მე-2 ადგილი) და ნიკა კორაშვილი (მესამე). მათი მწვრთნელია მერაბ ბუნტური. მემორიალის ყველა წონითი კატეგორიის გამარჯვებული და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ორგანიზატორთა მხრიდან.



**ნუგზარ გოგიბედაშვილის ხსოვნისა (თავისუფალი ჭიდაობა):**

კასპის რაიონის სპორტის ისტორიაში პირადი ამაგითა და საქმიანობით ნათელი კვალი დატოვეს მამა-შვილმა ლადო და ნუგზარ გოგიბედაშვილებმა, პირველმა თავისი საჭიდაო თავგადასავლებით, როგორც პოპულარიზატორმა და ორგანიზატორმა, მემუზეუმემ და ქართული ჭიდაობის უანგარო მსახურმა; მეორემ კი როგორც ცნობილმა მოჭიდავემ, პირველმა კასპელმა, ვინც უდიდეს წარმატებებს მიაღწია საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში...

ახლახან ორი წელი გასრულდა მისი გარდაცვალებიდან (თებერვალი მისი დაბადების თვეცაა). 2023 წლის 10 თებერვალს სპორტკომპლექსის მრავალპროფილურ დარბაზში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს 10-გზისა და ყოფილი საბჭოეთის ჩემპიონ-პრიზიორის, აზიური "განეფოს თამაშების" გამარჯვებულის — ნუგზარ გოგიბედაშვილის (09. 02. 1939 – 26. 02. 2021) ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური პირველი ტურნირი (მოსწავლეთა შორის).

ორგანიზატორი — კასპის სპორტის დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი, ჭიდაობის მენეჯერი ალექსანდრე ხუციშვილი);

შეჯიბრების მონაწილეთა გეოგრაფიული წარმომადგენლობა — თბილისი (2 გუნდი), გორი (4 გუნდი), ამბროლაური, ხაშური, ქარელი, მარნეული, გარდაბანი, ყვარელი, რუსთავი, მცხეთა (მისაქციელი), კასპი. წონითი კატეგორიები — 12, მონაწილეთა რაოდენობა — 160.



გაგაცნობთ რამდენიმე საინტერესო ტექნიკურ მონაცემს: ჯილდოების საერთო რაოდენობით ყველას აჯობეს გორელებმა, მათ ანგარიშზეა 3 პირველი, 4 მეორე და 6 მესამე ადგილი. ამდენივე გამარჯვებული ამბროლაურისა და რუსთავის გუნდებს ჰყავთ — 3-3. ხაშურელებს 6 ჯილდო ერგოთ (1+2+3), ქარელელებს — 4 (1+1+2)... მასპინძლები ოქროს ვერ შეწვდნენ, თითო-თითო ვერცხლი და ბრინჯაო დაინარჩუნეს (ისევ ორმა ნიკამ, ავლოხაშვილმა და კორაშვილმა).

გამოითქვა აზრი, რომ გაისიდან გაიზარდოს ამ ტურნირის სტატუსიცა და არეალიც.

# ჩვენი საპატიო კვარცხლბეკი



**ძიუდო: ირაკლი დემეტრაშვილი ევროპის ჩემპიონია**

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში 11 და 12 თებერვალს ევროპის ღია ახალგაზრდული პირველობა ჩატარდა. საქართველოს ნაკრები იქ 10-კაციანი შემადგენლობით წარდგა. მწვრთნელებმა მძიმე წონაში (+100 კგ.) ირაკლი დემეტრაშვილი გამოიყვანეს — 2022 წლის მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი. ამჯერად სოფიაში ის თავის წონით კატეგორიაში ფავორიტად იყო მიჩნეული. აფერუმ ჩვენებურ მოჭიდავეს, მან ნდობაც გაამართლა და საყოველთაო მოლოდინიც.

სოფიური ტატამი მისთვის ფეხბედნიერი გამოდგა: საფინალო დაძაბული ორთაბრძოლისაკენ სავალ გზაზე ირაკლიმ ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიშორა ესპანელი, სერბი და ნიდერლანდელი მეტოქეები, გადამწყვეტ შეხვედრაში კი, რომელმაც ძირითად დროში გამარჯვებული ვერ გამოავლინა და დამატებითში წარიმართა, უკრაინის გუნდის წარმომადგენელს, გვარად ბალიევსკს, სძლია!

წინაოლიმპიური წლის სტარტზე ესოდენი გამარჯვება, თავისთავად, მისასალმებელია, მაგრამ აღსანიშნავია ასეთი ფაქტიც: ირაკლი დემეტრაშვილის ოქრო მესამე აღმოჩნდა ქართველების საერთო მონაგარის ყულაბაში (ერთი ბრინჯაოს მედლის დამატებით) და ამან დიდწილად განაპირობა ჩვენი ვაჟთა გუნდის უპირობო პირველობა საერთო გუნდურ ჩათვლაში. აბა, კარგად დავითვალოთ: 23 ნაკრებიდან ოქრო 5 ქვეყანამ ირგუნა: საქართველომ — 3! უკრაინამ, საფრანგეთმა, უნგრეთმა და გერმანიამ კი 1–1.

ირაკლი დემეტრაშვილს 20 წელი შარშან შეუსრულდა, სექტემბერში. ვულოცავთ ევროპული ღია პირველობის ჩემპიონობას მასაცა და მის გზადამკვალიანებლებსაც — პირველ მწვრთნელს ნუგზარ მამულაშვილს, ხოლო ნაკრებში ამჟამინდელ დამრიგებელს ვაჟა ბალხამიშვილს.

**ჭადრაკი: 10 წლის ბიჭმა უფროსები დააშამათა**

ახლახან მუნიციპალურ საჭადრაკო მემორიალურ პირველობაზე რამდენადმე მოულოდნელი ფაქტი დაფიქსირდა: მისი გამარჯვებული გახდა 10 წლის მოთამაშე! არადა, მონაწილეთა უმეტესობა მისი მამისა და პაპების ასაკისანი იყვნენ.



ჩვენი ნიჭიერი ნორჩი მოჭადრაკის ვინაობა "ახალი განთიადის" მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი — მას ნიკოლოზ ჯანგიშერაშვილი ჰქვია! საჩემპიონო შეჯიბრებაში შვიდ პარტიაში მან 6 ქულა დააგროვა. ეს კიდევ არაფერი, კასპში უფროს ადამიანებთან წარმატების შემდეგ, ერთი კვირის თავზე, საჭადრაკო მაგიდებთან ქ. გორში თანატოლებთან სათამაშოდ დაჯდა და შიდა ქართლის მასშტაბით მოწყობილ 11-წლამდელთა პირველობაზე უკეთესი შედეგი გვიჩვენა: 7 პარტიიდან 6,5 ქულას მოუყარა თავი.

**ძიუდო: სალიცენზიო ეტაპი დაძლიეს, თუმცა...**

წლევანდელი იანვრის დასაწყისში გაერთიანების ჭაბუკმა ძიუდოისტებმა: თორნიკე გორჯოლაძემ, ალეკო ხიზამბარელმა, გიორგი რთველიაშვილმა, სოლომონ მერებაშვილმა, ვანო ჭიხინაშვილმა და მურაზ ცუცუნაშვილმა თბილისში წარმატებით გაიარეს სალიცენზიო შეჯიბრების ბარიერი. ამით მათ გზა გაეხსნათ ქვეყნის ჩემპიონატში გამოსასვლელად. აი, 5-6 თებერვალს კი იქ ისეთ კონკურენციაში მოხვდნენ, საუკეთესოთა რიგებში ველარ შევიდნენ. მათგან მხოლოდ თორნიკე გორჯოლაძე აღმოჩნდა საფინალო ეტაპთან, თუმცა... საქმე ისაა, რომ მეოთხედფინალურ შეხვედრაში ძლიერ მეტოქესთან გამარჯვებას თითქმის 15 წუთი (!) შეახარჯა და ნახევარფინალური დაპირისპირებისათვის გამძლეობა აღარ გასწვდა და მარცხით გაწბილებულმა ველარც მესამე ადგილისათვის შეხვედრა შემოატრიალა.

# “სალამურო, ლხინშიც ლხინო!”

## კავთურისხეობელი მესალამურე მისნების ძველი და ახალი ამბები

მდინარე კავთურას სათავე თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდაზე უდევს. შუაწელში კალაპოტს მისივე მზიან თუ უმზეურ ხეობად ქმნის. ოცდაექვსკილომეტრიან გზაზე ჩანჩქერებსა და თავსაქცევებს უსხლტის და მხოლოდ გამოვაკებული მშვიდდება. უკვე სოფელ კავთისხევთან სადღაა მისეული გიჟმაჟობა. აი, ქვემო ხანდაკთან კი დედამტკვარს მარჯვენა ფრთაში სულაც ლუკლუკით მიერთვის. ჰეჰ! არადა, ოდესღაც მის გაღმა ნაპირამდე გაჰქონებია გრანიტის ვეება ლოდები!

ახლა კაცს კი არა, ალბათ, თვითონაც უკვირს საკუთარი თავის დამცრობა, ის დროჟამიერი ენატრება დღისით და ესიზმრება ღამით, ხეობელი მწყემსები მის კალთისპირებსა და სანახებში რომ გაშლიდნენ ცხვარძროხის ფარასა თუ ნახირს, სამხრობისა, ან საღამოსპირულზე კოცონს დააგუზგუზებდნენ, მადიანი პურისხმევისას განუყრელ სალამურებსაც მოიმარჯვებდნენ, ენას ჩაუდგამდნენ და სულს ჩაბერავდნენ, ბულბულის ყელის დარად აამღერებდნენ და აარაკრაკებდნენ, ზედაც ნებიერი ყოჩის რქაგრეხული მცირეყანწით ცად აიხედავდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ საკრავისმიერი ჰანგის სიცოცხლეკურთხევას აწ და მარადის!

კავთურავ! საით და რაში გარდასახულან შენი მწყემსი-მესალამურენი და შენი მიწა-წყლის ვირტუოზი მუსიკოსშემსრულებლები, თრიალეთელი ყმაწვილკაცები და კავთურისხეობელი ტალიკი მზეჭაბუკები, ხომ არ გამქრალან საქართველოში წიქარა ხარის ზღაპრის სალამურიანი მორბედები?!

ისინი, მესალამურენი და მეჰანგენი, გამხდარან მარადისობის ბინადრები თრიალეთური ძველებური სარკოფაგებისა და ქვეყნის დედაქალაქური თანამედროვე პანთეონებისა... ოღონდაც, მათი სულები საუკუნეთა გადმოსახედშიც თანაზიარობენ და დროების მტვერს არ იკარებენ: ერთის ნაქონ ძვლის სალამურს, სამუზეუმო ექსპონატად შემონახულს, მეორე შთაბერავს ახალ სიცოცხლეს! აი, ესაა გახალხურება საკრავისა! აი, ესაა კავთურისხეობელი ჯადოქარი და მისანი, სალამურის ენისჩამდგმელი ოსტატების უკვდავება! აი, ესაა მათ ხელში სალამურის გარდასახვა კლასიკურობის დონეზე, ანუ გაორკესტრება და გაანსამბლება!



***

სოფელ კავთისხევში მუსიკალური ზეობის ათწლეულების ახალი პერიოდი სხვა თაობელებს უდგას. აქაურმა ახალგაზრდებმა სასოფლო კლუბის სცენაზე გადაინაცვლეს და სოცქსელის ყოველის მომცველ მობილურ ტელეფონებს როგორადაც მარჯვედ იყენებენ, ლამის ასეთივე პატივისცემითა და მოწიწებით ეუფლებიან ხალხურ საკრავებზე დაკვრას.

ჰოდა, ასეთ დროს, კავთისხევში მოქმედ ანსამბლს, აბა, რა უნდა ერქვას, “კავთურა” თუ არა?!

კავთურის ხეობის სალოცავებო! ქვათახევო და თავკავთაო! გადააფარეთ თქვენი ღვთიური კალთაო მანდაური თინეიჯერების მუსიკალობის გზასავალს, წინაპრულ რელსებზე მეტი ძალმოსილებისათვის, მიეცით მეტი ენერგია და გასაქანი! კაბის მადლმოსილი კალთა დაულოცეთ მათ დედაშემწესა და ქალბატონ მასწავლებელს — ნანა შალიტაურს!

დიახ, გაგაცნობთ პირველ მესალამურე ქალს არა მარტო კავთურის ხეობიდან. ხალხური მუსიკის ჯადოსნური სამყაროს ცხრაკლიტულის გასაღები მან ბავშვობისას იპოვა. 1981 წლიდან მოყოლებული დღემდე, როგორც პროფესიონალი სპეციალისტი, ახალგაზრდობას აზიარებს ხალხური მუსიკის ისტორიას, აუფლებს ნაირგვარ ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნებას. თავის წილრგებულ მოვალეობას ხომ ღირსეულად უძღვება და, იმავდროულად, პატივს მიაგებს ქართული მუსიკის სწავლებასა და განვითარებაში ამაგდარი ადამიანების ნათელ ხსოვნას, როგორადაც მათი ნაშეგირდალი, პროფესიული საქმიანობის გამგრძელებელი.

***

მისი გვარის წარმომავლობა საქართველოს მთიანეთს უკავშირდება. მასში თითქოს მუსიკალური ჟღერადობა და ტონალობა გამოსჭვივის, რასაც ნიავის შარიშურიც ერთვის. თუმცა არა, დალოცვილი საკავთისხეოს მიწა-წყლის შვილია. მუსიკალურობით გატაცებისა და პირველსაწყისის მიზეზი? — მინავლულია. ვინმეს მიმბაძველობა და გავლენა? — მეხსიერებაში ვერც კონკრეტული პიროვნება იკვეთება.

— სულ პატარა საკუთარმა ხელებმა გამცა, როცა თითებით გავეთამაშებოდი ხოლმე ყველანაირ საგანს, ვითომ, აბა, ერთი შემომხედეთ, როგორი გოგო ვარო! — ღიმილით იხსენებს ქალბატონი ნანა, — ოჯახშიცა და სამეზობლოშიც ყველა შეწუხებული მყავდა. ჩემს ახლობლებში არავინ უკრავდა. ჩემი უცნაური გატაცება შინაურებს აკვირვებდა და გარეშეებს აოცებდა. საიდანღაც ხელში ჩამივარდა სათამაშო პიანინო. იმდენი ვქენი, დამიმალეს. ამასობაში ექვსი წლის შევსრულდი. სოფლის სკოლაში მიმიყვანეს. აი, მაშინ კი მეშველა, ფრთები გავშალე...

1970 წელი იდგა. მალევე გავხდი სოფლის კულტურის სახლის გუნდის წევრი. მას “კავთურა” ერქვა და კავთისხეველი მუსიკოსი ავთანდილ მოდრეკილაძე ხელმძღვანელობდა. ყველაზე პატარა კავთურელი ვიყავი და ძალიან, ძალიან მიხაროდა. თავი ჩემს სტიქიაში ვიგრძენი, ავთო მასწავლებელმა რამდენჯერმე სახალხოდ რომ შემაქო... დღემდე მადლიერი ვარ ჩვენი კლუბის იმდროინდელი დირექტორისა გიორგი ბერიაშვილისა და სამხატვრო ხელმძღვანელისა ნადია შაყულაშვილისა (ნათელი მათ ხსოვნას!)... ჩემთვის საპატივსაცემო პიროვნებად და უპირველეს პედაგოგად, ვისაც ვუმადლი ხალხური საკრავებისადმი ჩემს უსაზღვრო სიყვარულსა და ულალატობას, მუდამ დარჩება და ასეთი მხოლოდ ერთია — ავთანდილ მოდრეკილაძე! იგი გახლდათ თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი. მშობლიური სოფლიდან თბილისში გააგრძელა მუსიკალურ სფეროში დაუღალავი საქმიანობა და იქაც არაერთი მადლიერი შეგირდი გამოუჩნდა, — ქალბატონმა ნანამ სასკოლო პერიოდის ანსამბლ “კავთურასა” და მის ამაგდარ ხელმძღვანელზე საუბარი დაასრულა ძვირფასრელიქვიადქცეული შავ-თეთრი ფოტოს ჩვენებით, რომელიც 1978 წლის 7 იანვარს არის გადაღებული კასპის კულტურის სახლის საფეხურებზე (“კავთურას” ხელმძღვანელი მოჩანს მის მარცხენა კიდეზე).



***

მაშ, ასე: “კავთურას” მამობილმა დედაქალაქურ მუსიკალურ კაბადონზე გაშალა ფრთები. თავისი ნაფერები შვილობილი კი თუ ვის ჩააბარა და ვინ ეიმედებოდა ღირსეულ შემცვლელად, მასზე ვიდრე მოგახსენებდეთ, მოდი, ეს-ესაა სკოლადამთავრებულ ქალიშვილს ჩვენც გავყვეთ თბილისში — ნანა შალიტაური საესტრადო-საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩაირიცხა, სადაც ხალხური საკრავების ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქართული ხალხური მუსიკის ღვაწლმოსილი შემოქმედი კირილე ვაშაკიძე (1910–1991): იგი ჯერაც მეორე მსოფლიო ომამდე სამთომომპოვებელ მუშათა ორკესტრს კაპელმაისტერობდა და არქიტექტურული ტექნიკუმის მოსწავლეთა ხალხურ საკრავთა ორკესტრს ხელმძღვანელობდა ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში, ომისშემდგომ ათწლეულებში კი ტყიბულიდან თბილისში მიიწვიეს მთავარი სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელად.

— განგებამ მარგუნა იღბალი, გავმხდარიყავი მოსწავლე დიდი მაესტრო ვაშაკიძისა, ხალხური საკრავების ჭეშმარიტი მესაიდუმლისა. მან წარუშლელი კვალი დატოვა ხალხური მუსიკის განვითარების ისტორიაში. რად ღირს, თუნდაც, ასეთი ფაქტი: ხალხთა ფენებში პოპულარული საკრავების შესაძლებლობები არგაგონილ, არნახულ დონემდე აიყვანა და თანამედროვეობის ჟღერადობა მიანიჭა, ანუ გააორკესტრა, კლასიკურობა დააკისრა! — აი, ამგვარად აფასებს ქალბატონი ნანა ამაგდარი პედაგოგების საქმიანობას, ვისი მეოხებითაც დაიწყო და დღემდე მოარულობს ხალხური საკრავების გარემოცვაში. ვერც ერთს უღალატებს, ყველას ერთნაირი პატივით ეპყრობა და ფლობს: სალამურს, დუდუკს, ფანდურს, ჩონგურს, ჩანგს, ბანის ფანდურს, დოლს, დიპლიპიტოს, დაირას, გარმონს...

გასული საუკუნის 80-ანი წლების ლაღი ახალგაზრდობისდროინდელი აქტიური საკონცერტო ცხოვრების უამრავი ეპიზოდი და მომენტი შემოუნახავს ძველ ფოტოებს. (ოო, თვითონ ფოტოსურათები და სხვა ვიზუალური დოკუმენტი ნაკლებად შემორჩა, რადგანაც რაც კავთისხევში ძველი კლუბის შენობა გასხვისდა და დაინგრა, მისთვის საკუთარი ბინა დღემდე ვერ გამოინახა, ხან სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში შეიხიზნეს, ხან — სად. ახლა სასოფლო კლუბი, რომელიც სულცხონებული ომარ კელაპტრიშვილის სახელს ატარებს, სამუსიკო სკოლის შენობის ბინადარია. აი, ასეთ “სამოგზაურო გაწამაწიაში” ბევრი რამ დაიკარგა და გაქრა...):

— აგერ, ლაურეატის სამკერდე ნიშნები, ნიშნად და დასტურად საქართველოს მოსწავლეთა და მოზარდთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადებში წარმატებისა, ხელოვნების სასცენო ფესტივალზე “ბრავო” მიღწევისა;

— მუსიკალური აღმაფრენით გამოსულია თბილისის ყველა საკონცერტო დარბაზის სცენებზე (ფილარმონია, მუსკომედიის თეატრი...);

— საკონცერტო-საჩვენებელი გამოსვლები ქვეყნის საზღვრებმიღმა (მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ბაიკალამურის მაგისტრალის მშენებლობა, ერევანი...);

— სასოფლო კლუბის შემოქმედებითი აგიტბრიგადების სტუმრობისას ადგილობრივი მეურნეობის მშრომელებთან უშუალოდ ველ-მინდვრებსა და მეცხოველეებთან საზაფხულო საძოვრებზე (თრიალეთის, ქსილისის ქედებზე), სადაც ბუნების წიაღში ეწყობოდა სახელდახელო სცენა, თავს იწონებდნენ ნანა და მისი მეგობრები — ქეთევან ქსოვრელიშვილი, კახა ნონიკაშვილი, თამაზ სახიაშვილი, გელა ქვრივიშვილი, მიხეილ ძამუკაშვილი ვაჟა საღირაშვილი;

— კასპის მასშტაბით არაა სოფელი, სადაც გამართულ სახალხო დღესასწაულებზე (“ჯავახიშვილობა”, “გურამიშვილობა”, “ეროვნული სამოსის დღე” და ა. შ.), “კავთურას” საკუთარი შემოქმედებით არ მოეხიბლოს მაყურებელი;

გაგრძელება გვ-8.

## მემორიალური და სახელობითი ტურნირები

**ჯიმშერ (ჯემალ) ხორბალაძის საიუბილეო (ძიუდო)**

ჭიდაობა ძიუდოში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ჯიმშერ (ჯემალ) ხორბალაძის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მუნიციპალური პირველობა (მოსწავლეთა შორის).

შეჯიბრების ორგანიზატორი — კასპის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი, ჭიდაობის მენეჯერი ალექსანდრე ხუციშვილი).

მხარდამჭერი — კასპის მუნიციპალიტეტის მერია (მერი ვახტანგ მაისურაძე, მოადგილე ზურაბ კოპაძე) და მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (უფროსი თეა ხორბალაძე); ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო (თავმჯდომარე შმაგი ბეგლარაშვილი, მოადგილეები თამაზ ტატანაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი).

მონაწილეთა წარმომადგენლობა — გაერთიანების 100-ზე



მეტი ნორჩი მოჭიდავე კასპიდანა და სოფლებიდან: დოესი, მეტეხი, თელიანი, ლამისყანა, ახალციხე, ზემო ხანდაკი, კავთისხევი, იგოეთი...

სახელობითი ტურნირის საპატიო კვარცხლბეკზე მდგომი ჭაბუკი მოჭიდავეებიდან გაგაცნობთ ფინალისტების ვინაობას, ანუ, გამარჯვებულებსა და მეორეადგილოსნებს:

2011–2012-წლიანები (ანუ ასაკობრივი ჯგუფი “პატარები”):

24 კგ-მდე — დაჩი გზირიშვილი (კასპი) და ანდრია ბეჟიტაშვილი (თელიანი), 27 — დაჩი პაპინაშვილი (თელიანი) და დათო ნადირაშვილი (კასპი), 30 — ამირან მჭედლიშვილი და ანდრია ჭიხინაშვილი (ორივე ლამისყანა), 34 — სანდრო მიდელაშვილი (კასპი) და თამაზ გაგნიძე (თელიანი), 38 — საბა ბარნოვი (ახალციხე) და ჯემალ კოშაძე (კასპი), 42 — ლუკა კოშაძე და ნიკოლოზ ბექაური (ორივე კასპი), 46 — იაკობ ბერიაშვილი და დავით ბერიაშვილი (ორივე თელიანი), 50 — გუგა მამულაშვილი (მეტეხი) და გივი თაბუაშვილი (დოესი), მძიმე წონა — ჯუმბერ ყურაშვილი (მეტეხი) და ლევან თედეშვილი (დოესი).

2009–2010-წლიანები (“დიდები):

34 კგ-მდე — ერეკლე მჭედელაძე (კასპი) და გიორგი მანჯავიძე (მეტეხი), 38 — გოგა ჭიხინაშვილი (ლამისყანა) და თამაზ ნატროშვილი (მეტეხი), 42 — საბა შუბითიძე (მეტეხი) და საბა ირემაშვილი (კავთისხევი), 46 — ირაკლი რთველაძე (მეტეხი) და გიორგი გოგიშვილი (ნოსტე), 50 — გიორგი ხორბალაძე (დოესი) და საბა შერმადინი (ლამისყანა), 55 — ლუკა მღებრიშვილი (მეტეხი) და მიშიკო ნათაძე (კასპი), 60 — გოგა ხრიკული (ლამისყანა) და ამირან გელიაშვილი (მეტეხი), მძიმე წონა — გიორგი თაბუაშვილი (დოესი) და ზუკა რთველიაშვილი (კასპი).

## ჩვენი საპატიო კვარცხლბეკი



**კრივი: ოთარ ხმალაძე საქართველოს პირველობის პრიზიორია**

ქვემოხანდაკელი ჭაბუკი ოთარ ხმალაძე ქ. კასპის მეორე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია. თვრამეტი წლისა სულ ახლახან, იანვარში, მოიყარა. სპორტი თხუთმეტი წლისამ შეიყვარა, როცა გზანიშნულთან დადგა, რომელი აერჩია — რაგბი თუ კრივი?

საკუთარ გულისკარნახს მიენდო და კასპის სპორტკომპლექსს მიადგა. იქ კი ურჩიეს, — კასპში, რუსთაველის ქუჩაზე სასპორტო დარბაზია და კრივის მწვრთნელს, ოთარ თოიძეს მიაკითხეო!

ოთხიოდე წლის გადასახედიდან ახლა კარგად ჩანს, რომ ახალგაზრდა მწვრთნელისა და სეხნია შეგირდის “რინგის დუეტმა” გაამართლა!

პირველ-მეორე წელი, ცხადია, ერთობლივ, საწყის ვარჯიშებს მოხმარდა. ამხანაგური და საწვრთნელი სპარინგებიც გამართეს გიორგი კანდელაკის კრივის სკოლაში (სოფელ ვარიანში). მერე გორისა და სხვა ქალაქების რინგებიც დააჭაშნიკეს... ორივეს კარგად ახსოვს პირველი გამარჯვება 2021 წელს, თბილისის საქალაქთაშორისო ტურნირზე. ჰო, იმავე წელს საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე გამოვიდა და პირველივე შეხვედრაში ევროპის ჩემპიონის ბარიერს გადაეყარა. ასეთი დონის მეტოქესთან მარცხი სტიმულატორად გამოიყენეს. და, ასე, თანდათან, მოვიდა პირველი წარმატების დროც.

2022 წლის თებერვალში საქართველოს პირველობაზე იასპარეზა, უკვე ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში. როგორ არ შევაქოთ ახალბედა მოკრივის შემართება: ქ. ბათუმის რინგზე დებიუტანტმა მოკრივემ ფინალში გააღწია! დიახ, იქ მოპოვებული ვერცხლის მედალი იყო მწვრთნელ-შეგირდის ერთობლივი გარჯის შედეგი, დამსახურებული ჯილდო, დასტური დიდი წარმატებისა.

და, აი, 2023 წლის თებერვლის დასაწყისში შავიზღვისპირეთის საკურორტო ქალაქმა—მარგალიტმა ბათუმმა იქაურ რინგზე კვლავ უხმო ქართული კრივის ხვალინდელობას: ჩემპიონატს ახალგაზრდებსა და უფროსებს შორის.

წინა წლისაგან განსხვავებით, როცა ოთარი 92-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვიდა, ამჯერად შედარებით დაბალში (86 კგ.) მოუხდა ხმლის... (გვარად ხმალაძეა და!) უკაცრავად, მუშტების ქნევა. საბოლოოდ კი ბრინჯაოს მედალი ერგო!

კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მდგომ კასპელ ჭაბუკს მედალი გადასცა ვეტერანმა ფოთელმა მოკრივემ ლადო ჭანტურიამ — 2000 წლის ქ. სიდნეის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა.

როგორია სეხნია მწვრთნელ-შეგირდის ერთწლიანი ორიენტირის მიზანი? — 2024 წლის საქართველოს ჩემპიონატის ოქროსფრად გაკაშკაშება!

## ხსოვნა

### თამრიკო რუსიშვილი



თვალის დახამხამებაში დაგკარგეთ. შენთან ვიყავით, მაგრამ გამოთხოვებაც ვერ მოვასწარით. ვიცოდით, რთული დიაგნოზი გქონდა, მაგრამ მაინც ვერ ვიჯერებდით, რომ დიდი განშორება გვემუქრებოდა.

თურმე სიტყვებიც მუნჯდება და ვერ ამბობენ სიმართლეს, ცრემლები ვერ აშრობენ სევდას... გვიყვარდი, სულ გვეიმედებოდი, ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით გვეგულები, რა დროს შენი გარდაცვალება იყო.

რა ძნელია წარსულში ილაპარაკო იმ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდაზე, რომელიც იყო ყველასათვის მაგალითი კარგი შვილობის, დედობის, მეგობრობის, თანამშრომლობის.

ღვთიური მადლი ეფინოს შენს სამუდამო სამყოფელს.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწებულებების გაერთიანება.**

## “სალამურო, ლერწმის ლერო!”

**დასასრული.**

– 2015 წლიდან აღდგენილ-განახლებული “კასპობის” საქალაქო ზეიმების უცვლელი მონაწილე ხომ არის და არის!

***

აი, ისინი, კავთურისხეობელი ახალუხალი ყმაწვილქალები და



ყმაწვილკაცები, ვინც ნანა შალიტაურს უხარის და ეამაყება:

გიორგი მოდრეკილაძე, თემურ მონასელიძე, ანასტასია კავთიაშვილი, ირინა აბულაძე, და-ძმა გიორგი და ლიზი მაზმანიანები, გვანცა ბასიაშვილი, ილია ჯანჯალაშვილი, რუსუდან კაციაშვილი, გიორგი მამუკაშვილი (ამჟამად სწავლობს თბილისის ერთ-ერთ სამუსიკო სკოლაში, სასულე ინსტრუმენტების განხრით), ნიკა ქსოვრელი, ძმები ლუკა და იოანე ხიზანიშვილები...

მათ შემხედავ გამოცდილ ლოტბარს საკუთარი გონსაწიერი და გულისგული კარნახობს და აიმედებს, რომ უახლოეს ათწლეულებში მათ შორის აუცილებლად გამოჩნდებიან ახალმემკვიდრენი ქართველი ვაშაკიძეებისა, კელაპტრიშვილებისა, მოდრეკილაძეებისა, შალიტაურებისა... სხვათა და სხვათა და არ გამეჩხერდება ჩვენებური, ხალხური, ფოლკლორული მუსიკის სულისშემბერავთა რიგები!

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

**გახდით ჩვენი მკითხველი!**

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ. კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76